სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება N630

(ოქმი N542)

ქ. თბილისი **2026 წლის 05 ივნისი**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N02-19/154 წერილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დებულებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დებულება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე

Tamila Dolidze 61001042033

Digitally signed by Tamila Dolidze Date: 2026.06.05 12:35:04

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა

Soso Sturua 61002008062

Digitally signed by Soso Sturua Date: 2026.06.05 12:43:23

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი იაკობიშვილი

იზაბელა ოსიპოვა

Izabela Osipova 01002008731

Digitally signed by Izabela Osipova Date: 2026.06.05 13:08:19

ლაშა ტუღუში

ცვლილება დამტკიცებულია
სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
2026 წლის 5 ივნისის №630 გადაწყვეტილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს (შემდგომში - ,,აჭარის ტელევიზია და რადიო" ან/და მაუწყებელი) სამართლებრივ სტატუსს, მიზნებს,

ამოცანებს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. აჭარის ტელევიზია და რადიო არის ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან, არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

1.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".

1.4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოკლებული სახელწოდებაა: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''.

1.5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N41.

მუხლი 2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს უფლებამოსილების ფარგლები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნები და ამოცანები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელება, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით და მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვით;

ბ) საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება;

გ) შექმნილი ტელერადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელერადიომაუწყებლობის დარგში საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

დ) საზოგადოების დროული, სანდო, მიუკერძოებელი და დაბალანსებული ინფორმირება.

მუხლი 4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის სფერო

4.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის განხორციელება საქართველოსა (ძირითადად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში) და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოება, შეძენა, გახმოვანება, განთავსება და გავრცელება;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ქსელის შექმნა;

დ) ინფორმაციის მოპოვება, გადამოწმება, დამუშავება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

ე)ტელერადიო პროდუქციის საკონკურსო საწყისებზე გამოვლენა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდება;
ვ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მაუწყებლის მიერ გავრცელებული ტელერადიო პროდუქციის შესახებ;
ზ) მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;
თ)კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტექსტური, აუდიო, ვიდეო, ფოტო, აუდიოვიზუალური ან სხვა შესაბამისი მასალის შეძენა, გამოყენება, შენახვა, არქივირება და გავრცელება, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვით;
ი) ტელერადიო პროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა;
კ) სარეკლამო პროდუქციის დამზადება;
ლ)სარეკლამო მომსახურების განხორციელება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
მ) აჭარის ტელევიზია და რადიო ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც ემსახურება და მიზნად ისახავს ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურა

5.1. მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოებია:
ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო;
ბ) დირექტორი.

5.2. მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ახალი და მიმდინარე ამბების რედაქცია;
ბ) მედიაწარმოებისა და გავრცელების სამსახური;
გ) ტექნიკა და ტექნოლოგიების სამსახური;
დ) ფინანსები და ადმინისტრაცია.

5.3. აჭარის ტელევიზიასა და რადიოში დირექტორის ბრძანებით, შეიძლება შეიქმნას სათათბირო, საკონსულტაციო ან საკოორდინაციო კოლეგიური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 6. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი და მისი აპარატი

6.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექტორი.

6.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, პირობები და პროცედურები განსაზღვრულია „მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით.

6.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი:
ა) წარმოადგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ინტერესებს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რაც სავალდებულო შესასრულებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებისათვის;
გ) აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სახელით გასცემს მინდობილობებს (რწმუნებულებებს);
დ) ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, სამუშაო აღწერილობებსა და მაუწყებლის მიმდინარე საქმიანობის მარეგულირებელ სხვა შიდა სამართლებრივ აქტებს;
ე) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის პროექტს.
ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.
ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ქონებასა და ფინანსებს;
თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სახელით დებს გარიგებებს;
ი) უზრუნველყოფს მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობისა და ფუნქციური გამიჯვნის პრინციპების დაცვას;
კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც აუცილებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნების მიღწევისა და საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

6.3.1. დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;

6.4. დირექტორის მოვალეობის შესრულების წესი

ა) დირექტორის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს, მისივე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ობიექტური მიზეზების გამო (ფორსმაჟორი ან სხვა გადაუდებელი ვითარება) ვერ ახერხებს ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრძანების გამოცემას, დირექტორის მოვალეობის შესრულება ეკისრება ფინანსებისა და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

6.5. დირექტორის აპარატი

6.5.1. მაუწყებლის დირექტორი, თავისი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების, აგრეთვე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, ქმნის დირექტორის აპარატს. აპარატი არ წარმოადგენს

დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, ფუნქციურად ექვემდებარება უშუალოდ დირექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

6.5.2. დირექტორის აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) დირექტორის საქმიანობის ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, ანალიტიკური მხარდაჭერა და კონსულტირება;

ბ) დირექტორის სამუშაო გრაფიკის, შეხვედრებისა და ოფიციალური ვიზიტების ორგანიზება;

გ) დირექტორის მიერ გაცემული დავალებებისა და სამართლებრივი აქტების შესრულების ვადების კონტროლი;

დ) მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ოპერატიული ინფორმაციის მიმოცვლისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ე) მაუწყებლის დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი, კანონმდებლობით ან/და შიდა რეგულაციით განსაზღვრული დამოუკიდებელი ფუნქციების განმახორციელებელი პირების/ერთეულების, მათ შორის: შრომის უსაფრთხოების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, სამაუწყებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის მიმართულებით, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მხარდაჭერა; აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება ამ პირთა/ერთეულთა კანონმდებლობითა და მაუწყებლის შიდა რეგულაციებით მინიჭებული ფუნქციური და პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპების სრული დაცვითა და მათ საქმიანობაში ჩაურევლად.

მუხლი 7. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

7.1 ახალი და მიმდინარე ამბების რედაქციის, როგორც სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ახალი ამბების იდენტიფიცირება, ფაქტებისა და წყაროების გადამოწმება, საინფორმაციო და ანალიტიკური მასალების მომზადება, რედაქტირება და საეთერო თუ ციფრული განთავსებისათვის მომზადება;

ბ) მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, საგანგებო სიტუაციებისა და კრიზისების შესახებ საზოგადოების დაუყოვნებლივი, უწყვეტი და ოპერატიული ინფორმირება;

გ) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, თემატური ტოქ-შოუების, დებატებისა და საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროდუქტების შექმნა;

დ) ამომწურავი და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფოებრივი, საკანონმდებლო, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ;

ე)დეზინფორმაციისა და ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება, გადამოწმება და საზოგადოების უზრუნველყოფა ობიექტური, სანდო და გადამოწმებული ინფორმაციით;

ვ) საინფორმაციო მასალების მულტიმედიური ფორმატით (ტექსტი, ფოტო, ვიდეო, აუდიო, ინფოგრაფიკა) მომზადება და მათი სინქრონული გავრცელება ტელევიზიის, რადიოსა და ციფრული პლატფორმების (ვებგვერდი, სოციალური ქსელები) მეშვეობით.

7.2. მედიაწარმოებისა და გავრცელების სამსახურის, როგორც სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სატელევიზიო, რადიო და მულტიმედიური (ციფრული) პლატფორმების მართვა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) მაუწყებლის საკუთარი შემოქმედებით-საწარმოო რესურსით არასაინფორმაციო, შემეცნებითი, გასართობი, დოკუმენტური, კულტურული და საგანმანათლებლო გადაცემების/პროექტების იდეების გენერირება, საპილოტე ვერსიების მომზადება, სრული საწარმოო ციკლის მართვა და მათი პერიოდული განახლება;

გ) გარე წარმოების პროგრამების შესყიდვის, კონკურსებისა და თანაწარმოების პროცესების მართვა;

დ) სამაუწყებლო ბადისა და საეთერო განრიგის ფორმირება-ადმინისტრირება. შესაბამის პლატფორმებზე სამაუწყებლო პროდუქტის, მათ შორის, სარეკლამო და სპონსორობის ბლოკების, კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსების, გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ე) შიდა სტრუქტურული ერთეულების ან გარე პარტნიორებისგან (აუთსორსინგი, თანაწარმოება) მიღებული მედიამასალების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და არქივირება. ამ მასალებზე საავტორო, მომიჯნავე და სალიცენზიო უფლებების (ვადებისა და პლატფორმების შეზღუდვების) მკაცრი კონტროლი და შიდაუწყებრივი წვდომის რეგულირება;

ვ) სამაუწყებლო შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა მაუწყებლის პრიორიტეტებთან. არასაინფორმაციო ფორმატების ტექნიკურ-საწარმოო დამუშავება;

ზ) ვიდეო გადაღების, ჩაწერის (მათ შორის, აუდიოჩაწერის), მონტაჟის, ტექნიკური დამუშავების, რესურსების დაგეგმვისა და ტექნიკური მზადყოფნის პროცესების ორგანიზება;

თ) მაუწყებლის ბრენდის განვითარების, საიმიჯო, სარეკლამო და პრომოაქტივობების სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება. აუდიტორიის კვლევების, სატელევიზიო რეიტინგებისა და უკუკავშირის მექანიზმების მართვა და მათი სისტემური ანალიზი. გარე პარტნიორებთან, რეკლამის განმთავსებლებსა და სპონსორებთან მარკეტინგული კომუნიკაციის წარმოება.

7.3. ტექნიკა და ტექნოლოგიების სამსახურის, როგორც სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:

ა) მაუწყებლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართული, უწყვეტი, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) სატელევიზიო, რადიო და ციფრული არხების ტექნიკური მხარდაჭერა;

გ) სამუშაო სადგურების, საოფისე და კომპიუტერული სისტემების, ქსელების, სერვერებისა და სხვა შესაბამისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება;
დ) ვებგვერდის, შესაბამისი ტექნოლოგიური სისტემებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერა;
ე) საინფორმაციო უსაფრთხოების, მონაცემთა დაცვის ტექნიკური ღონისძიებებისა და კიბერუსაფრთხოების ტექნიკური მხარდაჭერა;
ვ) ტექნოლოგიური პროექტების დაგეგმვა, დანერგვა, სისტემების განახლება, ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია და ტექნიკური მხარდაჭერა.

7.4. ფინანსები და ადმინისტრაცია, როგორც სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:
ა) მაუწყებლის საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა, შიდა ორგანიზაციული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლი;
ბ) მაუწყებლის ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, კორესპონდენციის (შემოსული/გასული ფოსტის) აღრიცხვა, დამუშავება და საქმისწარმოების მეთოდური მითითებების შემუშავება-დანერგვაზე ზედამხედველობა;
გ) მაუწყებლის საკადრო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი გაფორმება, თანამშრომელთა შერჩევის, შეფასების, მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების (ტრენინგების) პროცესების ორგანიზება;
დ) წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური ანალიზი. ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობებისა და საბრუნავი საშუალებების მიზნობრივი, ოპტიმალური ხარჯვის კონტროლი და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება;
ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.
ვ) მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური, სატრანსპორტო და სამეურნეო (ლოგისტიკური) საქმიანობის უზრუნველყოფა და კოორდინაცია.

7.5. მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია, ფუნქციები, უფლებამოსილებები და შიდა სტრუქტურა განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომლებსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

მუხლი 8. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსების ფორმირების წყაროები
8.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსები ფორმირდება:
ა) ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული სახსრებით;
ბ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

8.2. აჭარის ტელევიზია და რადიო კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას.

მუხლი 9. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტი

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის ფორმირების წესი დადგენილია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით.

მუხლი 10. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კონტროლი და საქმიანობის საჯაროობა

10.1. აჭარის ტელევიზია და რადიო დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან, არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას.

10.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

10.3. აჭარის ტელევიზია და რადიო უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საჯარო ინფორმაცია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 11. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის შეწყვეტა

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

12.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი.

12.2. წინამდებარე დებულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი დებულების ბათილობას.

12.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.